

ს ა მ ლ



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზბიანი გაზეთი გამოდის უოკალ კვირა ღღს.

№ 9 თ ბ ე რ ვ ა ლ ი 28 1899 წ. № 9

№ II „ჯეჯილისა“ გამოვოდა და დაუოიკდება ხე-
ლის მომწერლებს.

თამარ დედოფლის დიდი სურათი (ფე-
რადი წამლებით) ღღეის იქით ვაიციღება „ქმალის“
რედაქციაში 1 მ. 50 კ. (გასაგზაენი ფოსტის ხარ-
ჯი 30 კ.)

ე მ ი ლ ლ უ ბ ე .



ემილ ლუბე.

საფრანვეთის ახალი პრეზიდენტი.

ბატონებო, მე ერთიანთ შემანძრია იმ თანაგრძნობამ,
რომელიც თქვენ გამოიცხადეთ. არც ჩემი წარსული,
არც ჩემი იქედები არადეს არ ამიყვანდა ასეთ ოცნების
მწეკვალზე და არ მიფაქრებოდა იმას, რომ ერთხელ მე
გავსდები რესპუბლიკის შიკველი წარმომადგენელი. მე გარ
ძველი რესპუბლიკანელი, მე ყოველთვის ვიყავი რესპუბლი-
კანელი და სამუდამოთ დაგრჩები რესპუბლიკის ერთგუ-
ლი (გაშა!). ბატონებო, მე შინდა, რომ ელისეის
სასსლე იყოს სასსლე რესპუბლიკანელთა. მისი გა-
რები ყოველთვის ღია იქნება ვეკლას რესპუბლიკანელი-
სათვის. რესპუბლიკის თავმჯდომარე, ეს შარტიათა მო-
საშუაღე, არავითარ რჩევას, არავითარ აზრს უარს არ
ჭეოფს, შირ-იქით ის შაიწოდებს ვეკლას რჩევის მისცე-
მათ, რითაც დიდათ დამაგლებს. ვიშრომით ერთათ,
საფრანგეთში მშვიდობიანობის და დაწინარების დასაშუა-
რებლათ, რაც ისე შეკეუღდა ამ უმათ. ეს ჩემი უშირ-
ველესი მოგაღეობაა. მაჩა, ამასთანავე ნუ უარს ვეოფთ იმ
დიად შრინციბებს, რაცა გადმოგვცა დიდმა რეკოლიფიამ
და რაც შედგენს რესპუბლიკის დიდებას და სამშობლას
სასკლას. (სანგრძლივი გაშა)... ბატონებო, კიდევ გამდ-
ღობთ. იქონიეთ ნღობა ჩემ გულწრფელ სურვილებში,
ჩემ შეურყეველ ღტოლვილებში, მეწმუნეთ, რომ შთელ
ჩემ ძალ ღონეს შეგწინავ ჩემი წეობღების გასავითა-
რებლათ, რესპუბლიკის გასამარჯველათ და სამშობლას
სასუგავებლათ“. (ეს ლუბეს სიტეგაა, წარმომქმული ვეკლას-
ში მისი შრეზიდენტათ არჩევისთანავე).

უსაჭიროების საქმე.

მითქმის ყველა ხალხს აქეთ ანდაზათ: ოღონდ ქალმა მოინდომოს—წინ ეელარა გადაეღობებარაო. ამ ანდაზას ჩვენ და საუბედუროთ ჩვენ, ქართველი ქალები, მხოლოდ წერილმან, უბრალო საქმეებში თუ გამოვიყენებთ, თორემ სადაც ხასიათის გამოჩენა და სასარგებლო საქმის გატანა საჭირო — იქ ენა ჩაგვივარდება, მუხლი მოგვეყვება და სრულ უძღურობას ვიჩენთ.

ტყუილათ კი არა ჩივიან, რომ ქალების აღზრდა-განათლება ჩვენთვის გამოსადეგ ნიადაგზე არ არის დაყენებული და ახლანდელი ქალების ინსტიტუტი და ზვედენიები ოჯახის გამძღოლს და ხეირიან დედების მაგიერათ რალაც თოჯებს გვიზრდისო.

მაშ რას უნდა მივაწეროთ თუ არ ჩვენ, ქალების, უხასიათობას და უენერგიობას რომ აქამდის საქალებო სკოლა ვერ დაგვიარსებია. ყველამ იცის, ყველა გრძნობს რომ ჩვენი ეროვნების დასაცველათ, თვით ჩვენი ერის არსებობისთვის საჭიროა დედათა სკოლის დაარსება. მაშ ვისი იმედა გვექონდეს? მამა კაცები ყოველთვის ყოფილან და არიან ეგოისტები, უგლება, ძალა მათ ხელთ აქეთ. — ისინი კი მხოლოდ იმ საჭიროებას ხედავენ, რომელიც მათთვის უფრო თვალ საჩინოა. ქალებს კი, თუ ანდაზას დაეუჯერებთ, შეუძლიათ ენერგიულათ თუ მოჰკიდებენ ხელს თავისი გაიტანონ. მაგრამ ვანა ბანკების კრებებმა აშკარათ არ დაგვიმტკიცეს ქალების უხასიათობა და უენერგიობა? ჩვენ გვექონდა იქ ხმა, შეგვეძლო გავლენა გვექონოდა და ამავე დროს წერილმან პარტიობას გადავეყვეით, ამა თუ იმ კანდიდატს მხარს ვუჭერდით და იმისთანა სასარგებლო საქმე, როგორც დედათა სკოლის დაარსება — მიგვაეწეოდა. მაგრამ მახლას...

ამ ცოტა ხანში თფლისშიაც და ქუთაისშიაც არის დანიშნული თავად-აზნაურთა კრება. ამ კრებაზე სხვათა შორის იქნება მოლაპარაკება ბანკში დამუშდნებელთა შეტანილ ფულის თაობაზე. დარწმუნებული ვართ, რომ თავად-აზნაურობა ამ ფულს არ გამოიტანს კერძოთ დასახარჯავათ, რადკან თვით თავად-აზნაურობას არა ერთხელ უფიქრნია თავის თავზე ხარჯი დაედვა სწავლა განათლებისთვის.

ახლა მხოლოდ ყველა უნდა ეცადოს, რომ ეს ფული უსაჭიროეს საქმეს — განათლებას მოჰხმარდეს. თფლისის თავად-აზნაურობამ უკვე ექვსი წელიწადია რაც დაადგინა შემდეგი: დედათა-სკოლის დაარსება პირველ საჭიროებათ მიგვაჩნიაო. ამ სკოლის დაარსებისთვის საღსარი ვერ აღმოაჩინეს აქამდის; კერძო მოგროვებით ქალებმა მხოლოდ 22 ათასი მანეთი იშოვეს, ხეირიან სკოლის თანხას ესაჭიროება კარგა ფუ-

ლი და ყველას იმედით მიუპყრია თვალი, თფლისის ისე ქუთაისის თავად-აზნაურთა კრებისთვის.

მათი გამჭირახობით და შორს მხედველობით იქნება დაგვირგვინდეს ამისთანა უსაჭიროესი და უღიდეგი საქმე.

ახსატსაი წუჭეთლ.სა.




თავად-აზნაურთა საქმეები.

X 1. ფულები.

მცდა-რეა თებერვალს ქუთაისში და ორ მარტს თფლისში იმერ-ამერეთის თავად-აზნაურთა შეიკრება. ამ თავ-ყრილობის საგანია: გადაწყვეტა იმის, თუ როდის და როგორ მიიღონ ბანკებისაგან უკან დასაბრუნებელი ფული ლ არჩევა წარმომადგენლების ამავე ბანკების წასამართავათ. ამ ძირითად ცვლილების მიზეზზე და მის მნიშვნელობაზე ჩვენ აქ თავს დროზე გვექონდა ლაპარაკი (98 წ. № 18). ამჟამათ ეს ცვლილება შესრულებული ფაქტია, ის ახლა ცხოვრებაში გადადის, ცოცხალ სახეს ლებულობს დამას, მიუხედავათ მისი სიავ-კარგისა, ანგარიში უნდა გავუწიოთ. პირველ საგნის შესახებ ერთობ ბევრს ლაპარაკობენ და იმედია კიდევ მეტს ილაპარაკებენ. ამ გამოსატან ფულის კითხვამ თითქმის მთლათ ჩაჩრდილა მეორე კითხვა — კითხვა წარმომადგენელთა არჩევისა. ბანკის მდგომარეობა, მისი საქმეების რიგიანათ წაყენა და ოპერაციების გამძღაფრება გაცილებით უფრო საყურადღებო და უფრო რთული კითხვაა, ვინემ ის ორიოდ გროშები, რომელშიაც ბანკი აღარ საჭიროებს და შემომტანთ უკანვე აძლევს. ხოლო ბანკის სეე-ბედი დღეიდან ერთიანათ თავად აზნაურობის და მსესხებლების არჩეულთა ხელშია. ესენი ირჩევენ გამგეობას, ზედა-მხედველ კომიტეტს, ცვლიან წესების მუხლებს, არდგენენ სხვა-და-სხვა გადაწყვეტილებას — ერთი სიტყვით ბანკის ნამდვილი ბატონი და პატრონი ისინია. მაშასადამე ამ ბატონთა არჩევა დიდ საჭირ ბოროტო საგანს უნდა შეიცავდეს ამრჩეველთათვის და მას მეტ ყურადღებას უნდა აქცევდენ. მაგრამ, დღეს სწორეთ ეს საგანი დაუფიწყნათ 1) და მის მაგიერ ყოველი მხრიდან „რა ვუყოთ ფულსო“ გიძახიან. რასაკვირველია, ამ სალაპარაკო საგნის შეცვლას თავისი გაამართლებელი საბუთი აქვს. ბან-

1) მას შეესო თ. კიტა აბაშაძე, მარ იმდინათ უსკესულათ და ზეჭულათ, რომ მისის ციფრების თვით „იკრის“ რედაქციასაც კი ეჭვები ჰქუძმას („იკრ“ № 40)



კი, ასეა თუ ისე, უკვე დგას ერთ საფუძველზე, ხოლო ეს დასაბრუნებელი თანხა არაერთარ საფუძველზე არ დგას, ის ჰაერშია გამოკიდული და ვინც მაგრათ წაატანს ხელს, ის წაიღებს. თუ ახლავე არ შეეცადენ და საზოგადო საქმისთვის არ გადადევნებენ გვიანი იქნება ფული პატრონთა ჯიბეში გადავა და მისი იქიდან ამოღება შეუძლებელია. ცხადია, ეს კითხვა მომენტის კითხვაა და აი, ამ მომენტმა გარტაცა ჩვენი მოღვაწენი მარა აქაც, თავი ბოლოთ გადაუქცევიათ და ბოლო თავათ. ამათ ის საერთო თვისება აქეთ, რომ საგანს წარმოიდგენენ არა ისე, როგორც ნამდვილათ არის, არამედ ისე როგორც მათ ესამოიუნებათ და ეხერხებათ. ისინი ისე გაცხარებით დაობენ ამ სხვისი ფულის დანიშნულებასზე, რომ ასე გგონია ის უკვე ქისაში უწყევიათ და ამოღების მეტი არაფერი უნდაო. მართალია, ეს ფული ბანკშია, მარა ის კერძო საკუთრებაა, მაზე უჭირავს თვალი რამდენიმე ათას თავად-აზნაურს და მთელი კითხვაც იმაშია, თუ ეს კერძო საკუთრება როგორ გადაქცეს საზოგადო საკუთრებათ, ეს ათასთა ჯიბეში ჩასასვლელათ მომზადებული, როგორ შეჩერდეს თავის გზაზე და ერთ საერთო ჯიბეში გადავიდეს. და მერწმუნეთ, რომ ამის გადაწყვეტა ისე ადვილი არ არის, როგორც ეს, საზოგადოთ წარმოუდგენიათ. ერთ-ერთი დაბრკოლება მხოლოდ აქ არის და არა პროექტების და პლანების შეთხზვაში. თვითონეული ქართველი ჩინებულ პლანს გამოიგონებს, მხოლოდ მის განსახორციელებელ საშუალებას კი ვერას გიჩვენებს. და აი, ამიტომ ფანტაზიორი მეპროექტე ასე მრავალია ჩვენში.

მეტყვიან: თავად აზნაურობას თუ რაიმე გარკვეულ საჭიროებაზე არ მიუთითებ, ისე ფულს არ გამოიღებს, ამიტომ ეთხზავთ პროექტებსო. მართალია. მარა მართალია ისიც, რომ ვერაერთარ მოსაზრებას ვერ წარუდგენ ისეთს, რომ ყველას მოეწონოს, ყველა კმაყოფილი დარჩეს და აი, ეს უკმაყოფილო ნაწილი ასტებს ერთ აურ-ზაურს და მთელ საქმეს დაანგრევს. ასე რომ, პლანებს დაუდებლ სახიფათოა, არ დაუდებ და კიდევ უფრო სახიფათოა. რა არის ამის მიზეზი? რატომ ასე ძნელია დამფუძნებელთა დაჯერება კეთილ-საქმეში?

ჩვენი პუბლიცისტების აზრით, თუ კი ერთხელ თავად აზნაურობამ ისეთი სამაგალითო საქმე ჩაიდინა, რომ ბანკების დასაარსებლათ ფული გადადვა, ახლა, როცა ის გონებით წინ წაიდა და განვითარდა, ამ ფულს უკანვე აღარ წაიღებსო. აი, ეს მოსაზრება ყოველსავე საბუთს მოკლებულია. ჩვენ გგგონია, პირიქით ამ ოცდასუთი წლის წინეთ მას უფრო შეეძლო „სამაგალითო საქმის“ ჩადენა, ვინემ

ახლა შეუძლია. მაშინდელი ისტორიული პირობები სულ სხვა იყო და დღეს სულ სხვაა. რა პირობებია ეს?

თავად-აზნაურობას ჩამოერთვა ყმები და სამაგიერთო ფული მიეცა. მაშინ მას ურჩიეს: ამდენ ფულს ღებულობთ და აქედან თვითონეულმა ორიოდ-გროში რომ მოიკლოთ დიდი-არაფერი მოგაკლდებათ, ხოლო ბანკების დასაარსებელ თანხას კი შევადგენთო. ეს აზრი ყველას მოეწონა და ის იყო პლანი საქმეთ იქცა. და მართლაც, ერთი რომ ფული მაშინ უმრავლესობისათვის მიუცილებელ მოთხოვნილებას არ შეადგენდა, ლუარსაბებს უფულოთაც შეეძლოთ ტახტზე გორვა და ქეიფს გაწევა. პური და ღვინო ღვთის მადლით ბევრი ჰქონდათ. მეორეთ, მას ფულს აძლევდენ და არ ართმევდენ, თხოვდენ მხოლოდ ამ მიცემულის მცირე ნაწილს. მიეცით ვისმე ათასი მანეთი და ის ათ მანეთს სიამოვნებით გიწყალობდებსთ. მესამეთ, ეს ბანკები რა ხილი იყო, რა ნაყოფს გამოიღებდა—მაშინ არა თუ მთელმა წოდებამ, თვით მეთაურებმაც კი არ იცოდენ, და თუ იცოდენ იცოდენ გადაბრუნებულათ, ეს დაგეხსნის ყოველივე გაჭირვებისაგანო. აი მაგ. თილია ქვეყანაძემ რა უთხრა თავად-აზნაურობას ვთებერვალს, 1875 წ. „...ბანკი თავად-აზნაურობამ დააწესა იმ განზრახვით, რომ მისგან შეწირული ფული სესხად მოეფინოს ჩვენს ქვეყანას. მაგრამ ისე მოეფინოს, რომ მაგ ფულის ერთი გროშიც მაგ ბანკს არ დაეკარგოს, სესხმა ფული ასარგებლოს, ფულმა ფული მოიგოს და მხოლოდ ამ მოკებიდამ უფრო ბევრი ნაწილი ჩვენს ქვეყნის საერთო საჭიროებას მოხმარდეს და ზოგი კიდევ ღარიბთ გაუნაწილდეს, იმ ღარიბთ, რომელნიც რაიმე უბედურობის გამო სიღარიბეში ჩაცვივულან... ამ აზრზე დაწესდა და მუდამ ჩვენი გაჭირვებისაგან, სიღარიბისაგან ხსნის იმედი!“ („დროება“ იმავე წლის № 16. კურსი-ვი ჩვენი). ასეთ იმედს უნერგავდენ თავად-აზნაურობას და ისიც ფიქრობდა: თუ კი ბანკი გეხსნის ჩვენ, მის დასაარსებლათ არას დაეიშურებთო.

აი ის სამი გარემოება, რომელიც მაშინ მუშაობდა და მოწინავე წოდებას „სამგმრო საქმეს“ ყურში ჩაჩურჩულებდა. დღეს კი იმავე წოდებისაგან იმავე „სამგმრო საქმეს“ ითხოვენ, ხოლო არც ერთი ეს მისი წამხალისებელი გარემოება არ არსებობს. არ არსებობს პირველი: ფული დღეს ყველას სჭირია, ის ცხოვრების ჩარხათ გადაიქცა; ამასთანავე მოთხოვნილება გამრავლდა და გართულდა. არ არსებობს მეორე: თავად აზნაურობას ახლა მისაღები ფულის ერთ ნაწილს კი არ თხოვენ, არამედ თხოვენ მთლათ, მთელ მისაღებ თანხას. არ არსებობს მესამე: დღეს გაეშმაკ კი იცის, თუ რა ნაყოფი გამოიღო ბანკებმა.



მათი დამფუძნებელნი, დახსნის მაგიერ, გააღარიბა ვალების ქსელში გააჭვია და საწველ ფურათ გაიხადამაშასადამე, ძველებური იმედებით და მოქანსაკებულნი „რეჩებით“ დღეს თავდა-აზნაურობას ვეღარ გაიტაცებ და აქეთ-იქით ვერ მიაჩნვე-მოაჩნვე. ცხადია, ის ისტორიული პირობებ, რომელშიაც ამჟამათ მოწინავე წოდება იმყოფება, ძირიანათ განიჩნევა იმ პირობებისაგან, რომელშიაც ის ამ 25 წლის წინათ იმყოფებოდა. ახლა მისი კერძო ცხოვრება უფრო მინგრეულ-მონგრეულია, მას ფული უფრო ეჭირება, ამიტომ ქველ-მოქმედებასაც მასში ნაკლები ალავი აქვს. მარა ჩვენ მანც გესურს მან ეს ქველ-მოქმედება გასწიოს, ჩვენ მანც ეთხოვთ ფულს საზოგადო საქმისათვის. ეს საჭიროა, ეს აუცილებელია. მარა რანაირათ შეიძლება ამის მიღწევა? რა სხისაა ის დასაბრუნებელი თანხა?

დასაბრუნებელი თანხა მეტ-ნაკლებლობით არის განაწილებული პატრონთა შორის. მაგალითათ ქუთაისის ბანკი დაარსა 6500 კაცმა; ამთში მხოლოდ 350 კაცმა შეიტანა ორასი მანეთი და მეტი, დაარჩინებთ კი წვრილ-წვრილი თანხა აქეთ შეტანილი. თფილისის ბანკის დამფუძნებელთა შორის არის ათშაურიანი და ათას მანეთიანი. გორის მაზრიდან შემოუტანიათ ერთ მანეთამდის 11 კაცს, ხუთ მანეთამდის—283-ს, ათ მ.მდის—181 ს, ორმოცდა ათ მ.მდის—196, ას მან.—50, ორასამდის 99, ოთხასამდის—10, რეასამდის—15, რეას ზევით კი არც ერთს; სამაგიეროთ, სიღნაღის მაზრაში, მანეთიანი და ნაკლები არ არის, ხოლო რეას მანეთს ზევით სამს შემოუტანია (ამთში ერთს—ანდრონიკაშვილს—სამი ათასი მან. ჰქონებია). რასაკვირველია, ეს ერთ მანეთიანი და სამი ათასიანი დამფუძნებელი სხვა-და-სხვა ნაირათ მოეკიდება საერთო თხოვნას; პირველი სიამოვნებითაც გასწევს „სამირო საქმეს“, მას დიდი არაფერი აკლდება, მეორეს „გმირობა“ კი ძალიან საეჭვოა. ის იტყვის: მე წინააღმდეგი არ ვარ ფულის გამოღებისა, მხოლოდ თვითფულს თანასწორი გადასახადი გვერგოს; ასე რომ ან მე გაგითანასწორდები და ან შენ გამითანასწორდი. ამის წინააღმდეგ შეიძლება ითქვას: ვისაც მეტი აქვს, იმას მეტი მოეთხოვებაო, მარა ეს კიდევ კითხვაა, მართლა მეტი აქვს იმას ვისაც ბანკში მეტი ფული აქვს დატოვებული? ბანკში მეტი აქეთ იმათ, ვისაც მეტი ყმა ჰქავედა ზე მშასადამე მეტი ყმის ფული მიიღო. მარა შემდეგ ერთი საუკუნის მესამედმა გაიარა; წინანდელი მდიდრები უკან მოექცენ, დეარდენ, ხოლო წინანდელი ღარიბნი კი წინ წაიწიენ, გამდიდრდენ. გამოდის რომ ვისაც დღეს ბანკიდან მეტი ფული ერგება ღარიბია—ხოლო ვისაც ცოტა ერგება

მდიდარია ზე შენ კი პირველს მეტს თხოვ ზე მეორეს ნაკლებს!

აი რანაირ დახლართულ პირობებშია ეს ფულის კითხვა ამ სოციალურ დაბრკოლებას ზედ-ერთის კიდევ იურიდიული დაბრკოლებაც. დამფუძნებლობა კანონით გაუქმებულია, მაშასადამე დამფუძნებელთა კრებას არაერთარი გადაწყვეტილებ-ს მიღება ამ ფულის შესახებ არ შეუძლია. წინააღმდეგ შემთხვევაში წვრილი თანხიანი უმრავლესობა იგრილებდა კენჭ, კენჭ ო და საქველ-მოქმედო წინადადებასაც გაათვთრებდა, ეს ერთნაირი „სამირო საქმე“, მარა არა, თავისი, ა-აჟედ სხვისი ხარჯით, კანონით ეს აღარ შეიძლება, თვითაუფლმა დამფუძნებელმა ცალ-ცალკე უნდა განაცხადოს ბანკის კასასთან: სურს ფულის მიღება თუ არა. და თუ საქმემ აქამდის მიაღწია, შენი მტერია, ფულის ცდომილებას იშვიათი გაუძლებს. შეიძლება თქვან: „თავდა-აზნაურთა კრება“ არის კანონიერი დაწესებულება და იმან აღძრას შუამდგომლობა ამ ფულის მოხმარების შესახებო. მარა ამ კრებას წევრი არ არის ყველა დამფუძნებელი და მაშასადამე, რომელი კანონი იცნობს ამ სხვისი ქონების მითვისებას.

მაშ აღარ მოხერხდება ამ ფულის გაჩერება და საერთო საქმეზე მოხმარება?—რაკი ჩვენ საგანი ისე წარმოვიდგინეთ, როგორც ნამდვილათ არის და მისი საზოგადო პირობებიც გამოვარკვიეთ, ამ კითხვის გადაწყვეტაც შესაძლებელია. ჩვენის აზრით აქ შეიძლება მოინახოს ორ-ნაირი გასაყალი: როგორც ვთქვით, წვრილი დამფუძნებელნი უფრო გაიმეტებენ თავის ხედვრ ფულს, ვინემ სხვილი. მაშასადამე ამ უკანასკნელთა დაჯერება და მთელი მოძრაობის მოთავეთ გამოყენა აუცილებლათ საჭიროა. ახლანდელი მეთაურები თითქმის სულ წვრილი ხალხია, სხვილები კი განზე დგანან. ამას წინათ თფილისის თავდა-აზნაურთა კერძო მოლაპარაკებაზე ყველაზე მეტს ერთი ინტელიგენტი დაობდა, დეტოვოთ, დეტოვოთ ფულიო. მას თურმე სულ ხუთი მანეთი აქვს დასატოვებელი. წამოდგა მეორე და მოახსენა: თქვენსავით ცარიელა ლიბერალობას ყველა გასწევს, ტოვებ ხუთ მანეთს და ლაპარაკობ ასი თუმნისასო. აი, მე ახლავე ათ იმდენ ფულს დაგითელი, ოლონდ მეტს ნუ მომთხოვთო. ინტელიგენტი ჩაჩუმდა, ასეთი „არგუმენტები“ კიდევ მეტი იქნება საზოგადო კრებებზე და დღევანდელ მეთაურთაც პირში წყალს ჩაუყენებენ. რომ ეს არ მოხდეს, საჭიროა ეს წვრილი ხალხი უკან დადგეს და სხვილა წინ გაუშვან. და როცა რომელიმე მათგანი იტყვის: მე ათას მანეთს ვწირავ და თქვენ ოც-ორმოც მანეთს როგორ არ შესწირავთო—ამას გაცილებით მეტი ძალა ექნება, ვინემ დაუ-

სრულებელ „რჩეხს“. თუ ეს არ მოხერხდა, თუ სხეილები არ დათანხმდნენ, მაშინ არაფერი არ დარჩენილა გარდა იმისა, რომ მათ დაუბრუნდეს თავის ფული, ხოლო წერილებისა საზოგადო საქმისთვის გადაიდვას. ეს შეადგენს მაგ. თფილისის ბანკში 70 ათას მანეთს და ესეც კარგი ფულია. ხოლო ქუთაისის ბანკის დამფუძნებელნი კიდევ უფრო ადვილათ გაიმეტებენ ფულს, ვინემ თფილისის, ვინაიდან იქ კანონით დადგენილია წელიწადში მთელი თანხის მხოლოდ ერთი მეოცდახუთე ნაწილი დარიგდეს და მაშასადამე უმრავლესობას თითო-ოროლა მანეთიც ძლიერს შეხედება. და ამ პატარა ფულის ასაღებათ ვინ ჩამოვა სოფლიდან ქალაქში.— თუ არც ერთი ეს საშუალება არ გამოდგა, /თუ დიდ უმრავლესობამ ფული, ფულიო დაიძახა, მაშინ საქროა ისეთი პროექტის წარდგენა, რომლის განხორციელება თვითოეულ წევრს შემოტანილი ფულის პროცენტებს მიანიჭებს. მაგ. შედგენა „საზოგადოებისა“ ბანკების ან სხვა რაიმე მომგებიანი საქმის საწარმოებლათ. თითოეული დამფუძნებელი იქნება წევრი „საზოგადოებისა“ ზ მოგებაც მათ შორის განაწილდება. თავნი თავნათ შეენახება და სარგებელი სარგებლათ ექნება. და ამ მოსაზრებამ შეიძლება თავდა-აზნაურობას ფულის დატოვება გააბედლოს...

ნ. ყორღანია.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ქალაქ თფილისის უმაღლესათ ნება მიეცა გამოცეს ორი საობლიგაციო სესხი: 500 ათასი მანეთი — საყასბოს ასაშენებლათ და 300 ათასი მანეთი — ქალაქის ლომბარდის გასაფართოვებლათ.

თფილისის გუბერნიის გუბერნატორი ბიკოვი თანახმათ თავისი თხოვნისა დათხოვნილ იქმნა საშახურიდან.

ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის პირველი რიგის მსესხებელთა წარმომადგენელების არჩევა მოხდა 21 თებერვალს ქ. ქუთაისში. კრებას დაესწრო 24 ამომრჩეველი ზ ამათ 35 წარმომადგენელი ზ 5 კანდიდატი ამოირჩიეს, ხოლო ორმოცამდის სხვა გააშავეს. ყველაზე მეტი ხმა ამოსვლია დ. კ. დაღანს (22 თ. 1 შ.). კ. ჩიკვაიძეს მიუღია 17 თ. და 7 შავი, საიდანაც ჩანს რომ ოპოზიცია აქ მხოლოთ შეიდა კაცისაგან შემდგარა. გააშავეს გ. ზდანოვიჩი, ალ. ქუანია, კ. ბაქრაძე და სხ. ხოლო პავლე თუმანიშვილი ძლიერს გადა. (12 თ. და 11 შ.).


ქ. სოხუმის ხმოსანთა არჩევანი დანიშნულნი 3, 4, 5 და 6 მარტს. უნდა ამოარჩიონ 41 ხმოსანი. ამბობენ სოხუმის სამოურავო კაცი კავკასიაში არ აღმოჩენილა და სადღაც, ძალიან შორიდან მოჰყავთო...

მკ-თხველს ეხსომება, რომ გასულ წლის 3 ოქტომბერს თფილისში მეტათ საზიზლარი მკვლელობა მოხდა. ქუჩაზე მომავალი კაცი, დავით გაბაშვილი, სრულიად უმიზეზოთ ხანჯლებით აკუსეს ფაეტონით მომავალ მკლავაძებმა. ესენი იყვენ თ. ბარათაშვილი 22 წლის, თ. ტუსიშვილი 28 წლისა, ოსიტაშვილი — 30 წლის და ტერ-შმოვანოვი — 32 წლისა. ეს საქმე გაირჩა ოლქის სასამართლოში 22 თებერვალს და პირველ სამს მიესაჯა: ყოველივე ღირსების ჩამორთმევა და ოთხ-ოთხი წლის „კატორგა“, ხოლო მეოთხეს ექესი თვის ციხე, ღირსება ჩამოურთმეველათ.

კავკასიაში არსდება საექციონერო საზოგადოება, რომლის მიზანია კერძო მესაკუთრეთა სამკურნალო წყლების მოწყობა და გაუმჯობესება.

„კვალის“ კორესპონდენციები.

ქვემო იმერეთი. მიწის სივიწროემ სოფლელთა ერთი ნაწილი ქალაქებ-საკენ გარეკა, ხოლო მეორე სოფელშივე დარჩა, ისიც დიდ გაჭირებაშია. ძველებური-ჩვენებური თოხ-ბარ-სახნისით აღჭურვილი მუშა ვერ აღდნს დედა მიწას იმოდენ წვეწს, რომ შეიძლოს ღღის მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. გლეხმა მუშამ კარგათ იცის, რომ მარტო სიმინდის მოყვანით ვერაფერს გახდება თავისი ღონიერი, მაგრამ უცოდინარი მკლავებით და ვინც სახლში რჩება ხელს ჰკიდებს სხვა-და-სხვა დარგს მრეწველობისას: მევენახეობას, მეპრეშუმეობას, მეფუტკრეობას, თუთუნის მოყვანას და სხ... პირველი, ე. ი. მევენახეობა წინათ აქეთ ნაქები იყო. ჩვენ მამა პაპათ საკაოზე ბევრით მეტი ღვინო მოჰყავდათ. ძველებიდან გამიგონია, თავსაც ხშირათ ვიბანდით ღვინითო. სხვა და სხვა მიზეზებმა და ავთომყოფობებმა ძლიერ დააქვეითა მევენახეობა ჩვენში. ახლა კი მევენახეობას ყურადღება მიაქციეს ჩვენ მი და კიდევ სასურველ დონეზე დააყენეს. ძვირათ შეხედებით ისეთ ოჯახს, რომ დაბლარი თუ არა მალლარი — ხეებზე გაშვებული ვაზი-არ ჰქონდესთ. არის ისეთი სოფლებიც, მაგ. ჩუნეში, ახალ ბეწოული და სხვანი, რომელთა მცხოვრებნი თითქმის მარტო ღვინის მოყვანით საზრდოობენ. თუმცა ახლა



საკმაო ღვინო მოდის, მაგრამ ზოგიერთ ადგილებს გარდა, ჰაერის ზედ მეტი სინოტიის გამო, ღვინო თხელი და უღონო იცის. ბოლო წლებში აქ-იქ ამერიკული ვაზების მოშენებაც დაიწყო.

ღვინის მოყვანის გარდა შეენიერათაა დაყენებული იმერეთში მებარეშუმეობა, რომელსაც ხელს ჰკადებს ჩვენში ყველა, განურჩევლათ წოდებისა და სქესისა. თუმცა წინეთ აბრეშუმის ქვის მოვლა ქალებზე იყო განწესებული, მაგრამ, როდესაც შეხედეს მის კარგ მოსავლიანობას, სარგებლობას, კაცებმაც გულმოდგინეთ მოჰკიდეს მას ხელი. გრენი ქვემო-იმერეთში ჩამოაქეთ ჩარჩებსა და პირის-პირზე მეტი მოგებით და ან სასარგებლო პირობებით არიგებენ ხალხში. აბრეშუმის ქიას ჰყვებოდნენ ბეკლის (თუთის) ფოთლებით. ბეკლას ისეთი პატივი დაედო, რომ მის პლანტაციებს აშენებენ. პარკის ბაზარი დ. ხონია, სადაც ამ დროისთვის იკეთებენ ფარდულებს ჩარჩი სომხები, ჩვენები და „ამხანაგობაც“. პარკი საზღვარ გარეთის ბირჟასთან შედარებით ნაკლებ ფასობს. პარკის ძაფათ ამოსადებათ, გასანმობათ და საქსოვათ ქარხნებია გამართული ხონში (ორი ფაბრიკა, ამოსადება და საქსოვი), კუხში (საქსოვი) და თითქმის ყველა საზოგადოებაში გასანმობი ქვაბები „ამხანაგობისა“. ამ წლისთვის ვერაც ხითროვი აშენებს კიდევ საქსოვამოსადებ ფაბრიკას. ფაბრიკებში მუშაობენ უმეტესათ 15—16 წლის ქალიშვილები, ბებერი ქალებს ზედმხედველობით. მეფუტკრეობა, თუთუნის მოყვანა, ბამბის თესვა დიდი ხანი არ არის, რაც იმერეთში შემოიღეს. ყველა ეს დარგი რაც დრო მიდის, მით უფრო მატულობს, განსაკუთრებით უკანასკნელი. სხვა მცენარეთათვის მანებელი ცხელი ზენაქარიც კი მეტათ რეგებს ბაზას. იმერლები ოთხფეხი პირუტყვის მოშენებასაც მისდევენ, მაგრამ მეტათ წვრილი ჯიშისაა. მოვლა მას სრულიად არ აქვს და ზამთარ-ზაზხულ უმეტესათ გარეთ ყრია. სიმინდის და პურის მოყვანაზე ჩვენ არაფერს არ ელაპარაკობთ, მხოლოდ იმისთვის, რომ ისინი ჩვენში ძლიერ ცოტა მოდის; თითქმის არაფრით არ აღემატება საყოფს. როგორც ვხედავთ ქვემო-იმერეთის მეურნეობამ წმინდა ვაჭრული ხასიათი მიიღო. ის დარგი, რომელიც მედველს პაულობს, წინ მიდის და ვითარდება, ხოლო ის რაც ვერ საღდება რიგთან ფასში, უკან მიდის და ქვეითდება.

შავა — ღია.

ჭიათურა. ბევრნაირი მითქმა-მოთქმა ამ პატარა სოფლის შესახებ; ზოგი დიდ იმედს იძლევა და ზოგიც დიდ უიმედობას, რომელი ერთია მართალი ეს ჯერ-ჯერობით ბნელით-მოცულია. ფაქტები კი აი რას ამბობენ.

ამ რამდენისამე წლის წინეთ აქ შედგა ერთი ამხანაგობა, რომლის მიზანი იყო: ყველა მემამულეთუ გარეშე მწარმოებლისა ან ქვის მიღება და რუსეთში თუ საზღვარ გარეთ პირდაპირ, უკომისიონეროთ, გაგზავნა. — ეს აზრი პირველათ ყველამ მოიწონა და მოსაწონიც იყო, თუ კი ერთი ამხანაგობა იქნებოდა ქვის გამგზავნი და არა მრავალი. ამ შემთხვევაში მწარმოებელთა შორის მეტოქეობა მოისპობოდა და ბაზარზე ქვის ფასი ააწევდა. და თუ მაინცა და მაინც, რომელიმე მიზნის გამო, ქვის ფასი დაიკლებდა, ეს ხანგრძლივი არ იქნებოდა და თუ გინდ ასეც ყოფილიყო, ამხანაგობას მაინც შეეძლებოდა მის გამკლავება. ამხანაგობის პირობაზე, პირველათ, ჩვენებაც და საზღვარ გარეთლებმაც სიამოვნებით მოაწერეს ხელი; მარა ბევრი განზე გადგა, განსაკუთრებით საზღვარ-გარეთლები, რის გამოც საქმე ვერ მოეწყო ისე, როგორც სასურველი იყო; ისინი თითონ შეუდგენ ქვის გზავნას ამხანაგობას კანკურენცია გაუწიეს და საქმეც აირ-დაირია. თუმცა ეს ასე მოხდა, მარა ამხანაგობას იმედი მანც არ დაუკარგავს ის დღესაც არსებობს და მოღვაწეობს.

წარსულ წელში ხსენებულ ამხანაგობას რამდენჯერმე ჰქონდა კრებები სხვა-და-სხვა კითხვების შესახებ; ამ კითხვებში სხვათა შორის ორი ძალიან საყურადღებო იყო: პირველი ის, რომ დარიგებოდა წვერებს ის დარჩენილი ფული, რომელიც სხვა-და-სხვა ხარჯებს გადაჩა და მეორე უნდა გამოეცვალათ რჩევის ზოგიერთი წვერები. უკანასკნელი დასრულდა იმით რ.მ ერთი წვერი ბ. პ. მ — შეილი გამოცვალეს, ხოლო პირველზე ლაპარაკი მეტია, რადგანაც ფულის ხელიდან გაშვება ძალიან ეძნელებათ. საზოგადოთ უნდა ეთქვათ, რომ ერთ წელზე მეტია რაც ეს ამხანაგობა სიბნელით არის მოცული და მისი ამბების გაკებაც საძნელოა. 1)

თუ რამდენათ კარგათ მიდის ქვის აღებ-მიცემობს საქმე და რამდენ სარგებლობას აძლევს მსხვილ მწარმოებელს — ჩანს შემდეგიდან: 1897 წელს აქ ფუთი ქვა ღირდა და ახლაც ადგილას ღირს 5—8 კ. ხოლო გამ ზავნი, რომელიც ზესტაფონში, გომში და ფოთში აბარებს საზღვარ გარეთ გამტანს, ზესტაფონში ლებულობს ფუთში 17—18 კ., გომშიაც თითქმის ამავე ფასს, და ფოთში კი არა ნაკლებს 20—22 კ. აი, ასეთი ფასებით ერთი წლის განმავლობაში გაუტანიათ სულ: 17,475,000 ფუთი. როგორც ზემოთ ჩამოთვლილი ანგარიშებიდან ჩანს შავი ქვა სახეი-

1) რამდენათაც მასხარის 1895 თუ 1896 წელს „ჭიათურის ნამრებში“ იყო ამ ამხანაგობის მოკლე ანგარიში და ხელის მოაწერათ სიაც.



რო ყოფილა მსხვილ მწარმოებლისათვის, მხოლოდ წერილისათვის კი არა, რადგანაც ამ უკანასკნელს, თუ მან პირიანათ იმოქმედა, თითონ უღირს ამავე ფასათ ხოლო თვით მუშა კაცს, რომელიც ქვას გვირავიდან იღებს და „პლატ ფორმებზე“ ეზიდება, არსაიდან არ ეტყობა რამე გაუმჯობესობა. მაგრამ ზიუხედავთ ყველა ამისა, სასიამოვნოთ უნდა ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ მუშას არ ჭირდება, როგორც სხვაგან, მაგ. ბათუმში, ორი-სამი თვით სამუშაოების შოენისათვის ცდა და ყოველთვის შეუძლია ლუკმის შოენა და შრომის მცირე ფასის აღება მაინც. მუშებს რომ ერთი პირი ჰქონდეთ, მეტის აღებაც შეეძლოთ

ა--- რე საბუღიანო.

ს. ჭავჭავი (ივერეთი) დღემდის ითვლებოდა განათლებულ სოფლათ ქუთაისის მაზრაში, მაგრამ ახლა მახლობელმა სოფლებმა (კულაშმა, ღარი-ჯიხიშმა) აჯობეს ჭავჩავს, ორ კლასიანი სასწავლებლის, წიგნთ-საცავ-ამკითხველოსი და სხ. დარსებით. მათი საჭიროება კი ყველას ნაგრძნობი აქვს. თუმცა ჭავჩავში სამრევლო სკოლებს ყოველ უბანში აარსებენ, მაგრამ, ჩემი აზრით, უმჯობესი იქნებოდა ერთი მაინც რიგიანი სასწავლებელი, ვინემ ასი უმნიშვნელო და უსარგებლო.

აქაური ინტელიგენცია და მღვდლები რომ ერთგულათ კიდებდნენ ამ სასარგებლო საქმეს ხელს, ადვილათ შეიძლებოდა აქაური ერთ-კლასიანი სამინ სტრო სკოლის ორ-კლასიანათ გადაკეთება, რადგანაც მოთხოვნილების რიცხვი დღითი დღე მატულობს და ბევრი ბრუნდება სკოლიდან უადგილობას გამო. უნდა ეთქვათ გატებით, რომ ძლიერ გულ-ნაკლულათ ვართ ზოგიერთა აქაურ მღვდლებზე და გაელენიან პირებზე, რომელიც არამც თუ ზრუნავენ საზოგადოთ სკოლის გადაკეთებაზე, არამედ ყოველ ღონისძიებას ხმა რომენ მის გაქარწყლებაზედაც.

მას აქეთ რაც განკარგულება მოხდა რომ მასწავლებელმა ჯამაგირი ხაზინიდან მიიღოს და არა მამასახლისიდან, ბევრმა იფიქრა ახლა კი გაკეთდა საქმეო. მაგრამ, სამწუხაროთ, ეს სამუალები, თუ უარესი არა, უმჯობესი მაინც არ შეიქმნა წინააღმდეგზე, როდესაც მასწავლებელი ჯამაგირს მამასახლისისაგან ღებულობდა, ეს იმისთვის რომ, დღეს მასწავლებელი მივა ხაზინაში ჯამაგირის მისაღებათ და მას ეტყვიან: „საზოგადოებას ფულა არ შემოაუტანია და რა მოგცეთო!“ მამასახლისს თხოვს და ის ეუბნება: თქვენ ხაზინასთან გაქვსთ საქმე და არა ჩემთანო. ასე, ამ ტრიალში ლატაკი სკოლის მასწავლებელი ხარჯავს თუ რამ აქვს გროში იმ იმედით, რომ ჯამაგირს მივიღებო.


ურიკო არ იქნება, მასწავლებლებს სხვა თანხებიდან მიეცემოდეს ჯამაგირი და ან სასტიკი ბრძანება მიეცეს მამასახლისებს, არაფერ შემთხვევაში პირველ იანვარს არ გადააცილონ მასწავლებლის ჯამაგირის შეტანა ხაზინაში.

ჭავჩავის სკოლის მასწავლებელი მ. ქავჩავა.

სოფ. აკეთი. წახსულის წლის 21 დეკემბერს სოფ. აკეთში, აქაურ წიგნთ-საცავის წინ, სრულად უმიზესოთ და უდნაშაულოთ ახ. ვაღერაძის შალიკაშვილმა სიტყვით და მოქმედებით შეუწინააღმდეგა აკეთის ორ-კლასიან სკოლის შედამხედველი არკადი გიგოჭორაძის, რომელსაც აგრეთვე დაემუქრა, რომ უფრო დიდ საზოგადოებაში გაგდასვლა!... ეს საქმე ბრძანდებულის დაუსწრებლათ პირველ თებერვას ამ წლისას გააჩნია ჩოსტაურის სასამართლო ნაწილის გამკემ ბნა ჰეკასკვიძ და ბრძანდებულ შალიკაშვილს მიუსაჯა სა ი თვით დაზარალებულმა...

სასამართლოში მოწმების ჩვენებიდან დამტკიცდა, რომ „შალიკაშვილი წინათვე მოფიქრებულის განზრახვით შეხვდრია წიგნთ-საცავის წინ არკადი გიგოჭორაძის, შეძრუკრავს მისთვის რამდენჯერმე სასეში სილა, შემდეგ წაუჭრავს, დაუგორავს იქვე თავდადობრთზე და წისლითაც უტყობა. სოფლ ბოლას დამუქრება, რომ ასეთი გაღასკვა რ უნდა იყოს, უფრო დიდ საზოგადოებაში უნდა გტმეოგო. უგინება დედამა და სხვა უწმარერი სიტყვებით მოუსხენება. საბუთათ ამ შეუსაძლო საქციელის შალიკაშვილს ის მოუმიზესებია, რომ ვითომ გიგოჭორაძის გაზეთის სამუალებით ცუდათ მოეხსენებიათ ბიბლიოთეკის გამკე ჯამუელთი ბაუუნაიშვილი, ნიკო თავდგირიძე, მთელი აკეთის საზოგადოება სსკ. ბნა გიგოჭორაძის მოსამართლს წარუდგინა. „ცნ. ფურც.“ ნომერი, რომელშიაც ვიღაც „შაკუკითელის“ შენიშვნა არის დაბეჭდილი აკეთიდან და რომელშიაც ნათქვამია, რომ აკეთში უკეთუ ზოგიერთი ქალი და კაცი არ იყვენ უფრო კარგი იქნებოდაგო. წარუდგინა აგრეთვე ის ნომერიც, სადაც სსკ-ბუელი გაზეთის რედაქტორი ამოწმებს, რომ „სემო-თქმულის ავტორი არკადი გიგოჭორაძი არ არისო. საყურადღებო და საგულის-სმიერო იყო მოწმეთა ჩვენების ის ადგილი, რომელიდანაც გამოჩნდა, რომ იმდღეს, რა დღესაც ეს უსიამოვნო ამბავი მოხდა, ბიბლიოთეკის გატე ჯამუელთ ბაუუნაიშვილს დაუბარებია ბიბლიოთეკაში არკადი გიგოჭორაძი და ერთის მანდილოსანის წყრილი გადაუცია!... ეს წყრილი მუქარის კილოთი ყოფილა დაწერილი. სოფლ ბაუუნაიშვილი როცა განმორდა გიგოჭორაძის, იქვე მანდოელ დუანში შესულა და სამაგიეროთ იმავე დუანიდან ახ. შალიკაშვილი გამობრძანებულა ამ საგმირო საქმის ჩსადაცნათ!... ყოველივე ეს აფიქრებინებს კაცს, რომ ამ შემთხვევაში შალიკაშვილს შეძრუკრავს ბუელი და იმის ბრძანებით უმოქმედნია!...

შეკადრი.



ქ ა ლ ა ქ ი თ ე ლ ა ვ ი.

ს ა ზ ლ ვ ა რ - გ ა რ ე თ

საფრანგეთი. საფრანგეთის რესპუბლიკას უკვე თავის მეშვიდე პრეზიდენტი ჰყავს. პირველი პრეზიდენტი იყო ტიერი, რომელიც 5 იანვარს 1871 წ. ნაციონალურმა კრებამ აღმასრულებელი ძალის მეთაურათ აირჩია და შემდეგ პრეზიდენტ აბის ხარისხიც მიიღო. მარა როცა ის რესპუბლიკის დამყარებას შეეუდგა, დეპუტატთა მონარქიული უმრავლესობა წინააღმდეგა და 12 მაისს 1873 წ. დასცა. მის ალაგას არჩეულ იქმნა მარშალი მაკ-მაჰონი 390 ხმით, წინააღმდეგ 210 ხმისა. მონარქიელებმა მთელი თავისი იმედი მაკ-მაჰონზე დაამყარეს, აი ეს მოგვეგვის ერთ მეფესო. მარა რომელი უნდა ყოფილიყო ეს მეფე — ბონაპარტთა თუ ბურბონელთა ჩამომავლობისა — ამაზე ვერ შეთანხმდნენ და ამ დავაში პრეზიდენტი იძულებული შეიქმნა ახალი წყობილება შემოეღო.

და ის იყო შეიმუშავეს რესპუბლიკანური კონსტიტუცია, რაც ნაციონალურმა კრებამ 13 თებერვალს 1875 წ. ერთ-ერთი ხმის უმეტესობით მიიღო. კონსტიტუციის ძალით კანონმდებლობითი უფლება გადაეცა სენატს და პარლამენტს. ნაციონალური კრება დაიშალა და მის ალაგას ეს ორი დაწესებულება ჩადგა. სენატი შედგებოდა უმრავლესათ რეაქციონერებისაგან, ხოლო პარლამენტი ლიბერალურ-რესპუბლიკანელებისაგან. მაკ-მაჰონს არ მოეწონა ეს უკანასკნელი და 4 მაისს 1877 წ. პარლამენტი დაითხოვა და ახალი არჩევანი დანიშნა. აი, მაშინ მიმართა გამბეტამ პრეზიდენტს თავისი კლასიკური წინადადებით: *se soumettre ou se démettre* — ან დაგემორჩილდი და ან გაგვეცალეო. მაკ-მაჰონმა ჯერ პირველი შესასრულა, მერე მეორე. ხალხმა ხელ-ახლა რესპუბლიკანელები აირჩია დეპუტატებათ და პრეზიდენტიც 18 იანვარს (1879 წ.) სამსახურიდან გადადგა. იმავე დღეს შეიყარა კონგრესი და პარლამენტის პრეზიდენ-


ტი, ჟიულ გრევი, არჩეულ იქმნა რესპუბლიკის პრეზიდენტად. მან შეასრულა კანონით დადებული შეიღობი წელიწადი და 21 ნოემბერს 1885 წ. ხელ მეთრეთ იქმნა არჩეული. მარა ახლა მან გაცილებით ნაკლები ხმა მიიღო. რესპუბლიკანელები დაიყვენ და სხვა-და-სხვა ჯგუფმა სხვა და სხვა კანდიდატი წამოაყენა. რადიკალებმა პირველათ წამოაყენეს ბრისონის კანდიდატურა, რომელმაც 68 ხმა მიიღო. 1886 წ. გამოქვეყნდა, რომ გრევის სიძე ეილსონი სახელმწიფო ორდენებით დაჯილდოვდა, ვინც ფულს მისცემდა, იმას ორდენს აძლევდა. თვითონ გრევი არ ყოფილა ამის მონაწილე და არც იცოდა რამე, მარა რადგანაც ეს მის საფარველს ქვეშ ხერხდებოდა, ისიც იძულებული შეიქმნა სამსახურიდან გასულიყო. მის ალაგას აირჩიეს სადი კარნო (21 ნოემბერს 1887წ.), რომლის პრეზიდენტობის დროს გამოტყვერა პანამის სკანდალი და ბულანჯეს მოძრაობა. 12 ივნისს, 1894 წ., კარნო მოკლა იტალიელ ანარქისტმა კაზერიომ. მესამე დღეს არჩეულ იქმნა პრეზიდენტად კაზიმირ პერიე მხოლოდ 24 ხმის უმეტესობით. (ბრისონმა მიიღო 191 ხმა, დიუპუიმ 99). პერიეს არჩევას წინააღმდეგ მუშა ხალხი; ის იყო ერთადერთი დიდი კაპიტალისტი (მთა-მადნების პატრონია) პრეზიდენტად. ამან ხალხის მოძრაობას ვეღარ გაუძლო და 3 იანვარს 1895 წ. სამსახურიდან გადადგა. მეორე დღესვე აირჩიეს ფელიქს ფორი 430 ხმით, წინააღმდეგ 361 ხმისა, რომელიც მიიღო ბრისონმა. ფორის დროს გამოტყვერა დრეიფუსის სკანდალი, რაც ლუბებს სამკვიდროშიაც გამოვიდა. ლუბებზე შეერთდა ყველა რესპუბლიკანელი, სოციალისტებითურთ წინააღმდეგ მონარქიულ - კლერიკალ-ნაციონალისტებისა, რომლებმაც მელინის კანდიდატურა წამოაყენეს. ლუბემ მიიღო 483 ხმა, მელინმა 279. — აი საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის მოკლე ისტორია.

— აქო და პარიჟში ხშირად მომხდარა რევოლიუციო, მოდი ერთი მეც რევოლიუციო მოვანდინო — გაიფიქრა პატრიოტმა დერულებმა და ფორის გემის სასაფლაომდის მისაცილებლათ გამოსულ მხედრობის ერთ სარდალს, როჟეს, მიმართა: წავიდეთ თქვენი ჯარით ელისეის სასახლეში და მთავრობა ხელში ჩაივლოთო. დენერალმა უარი უთხრა, დერულები არ მოეშვა და ყაზარმაში შეჰყვა. მაშინ კი შეიპყრეს ეს ახირებული რევოლიუციონერი და სატუსალოში მიამძახეს. მასთან ერთად მიამძახეს მეორე მისი თანამგზავრი, (ესეც „პატრიოტია“), მარსელ ჰაბერი. ორივე დეპუტატებია და ნაციონალისტთა პარტიას ეკუთვნის. ამათაც ერთი მეფე ენატრებათ, მარა სად არის!

— პარიჟის თავად არჩეულ იქმნა სოციალისტი ლიუსიპია.

გერმანია. „ფრანგურტის გაზეთი“ საინტერესოსო ცნობებს იძლევა გერმანიის პოლონელთა მოძრაობის შესახებ. ისინი მესამოცე წლებში აღმოსავლეთ პრუსიის, პოზნანის და სილეზის მხოლოდ ზოგ მაზრებში შეადგენდენ უმრავლესობას. ცხოვრობდენ განსაკუთრებით სოფელში. ქალაქები კი, გარდა პოზნანისა, ერთიანათ ნემეცების ხელში იყო. სლავიანთა საერთო რიცხვი ორ-მილიონ-ნახევრამდის აღიოდა. დღეს კი სულ სხვაა. ეს რიცხვი სამ მილიონ ნახევრამდის ასულა. ისინი სოფლებშიც გამაგრდენ და ქალაქებსაც მოაწყდენ. აღმოსავლეთ პრუსიის ის ქალაქები, რომლებშიაც წინათ ნემეცები ბატონობდენ, სანახევროთ გაპოლონებულა. ისინი არ დამყოფილდენ თავისი ქვეყნით და გადმოვიდენ დასავლეთ გერმანიისაკენაც. მაგ. 1897 წ. დასავლეთის 11 მაზრაში ასი ათასი პოლონელი ყოფილა, რაიცა მთელ — მცხოვრებლების 80% შეადგენს; ზოგან მცხოვრებლების 200% შეადგენენ. ამათში დიდი უმრავლესობა მუშა-ხალხია. ამ ნაირათ, ამ მოძრაობის შედეგია: პოლონელი აღმოსავლეთში, პოლონელი დასავლეთში!

ავსტრია. ერთი დრეიფუსის სკანდალზე არა ნაკლები სკანდალი ავსტრიაში დატრიალებულა და თუ ამის შესახებაც დავიდარება არ არის ატეხილი — ეს იმიტომ რომ ავსტრია ავსტრია და საფრანგეთი კიდევ საფრანგეთია. კობურკელი პრინცის ცოლს, ბელგიის მეფის ქალიშვილს, შეეყარებია ერთი უბრალო აფიციერი. გაუკიათ ეს თუ არა ქალი გიჟათ გამოუტყუანდებიათ და საგიჟეში დაუმწყდევიათ. ხოლო იმ ოფიცერს ყალბი ვექსილის შედგენა დაბრალებია და სამხედრო სასამართლოს ექვსი წლის სატუსალო მიუსაჯია. და ასე, გონიერი ადამიანი გიჟებთან არის და პატიოსანი ქურდებთან. საფრანგეთში მომხდარიყო ეს — ამდენ ხანს ქვეყანას შეძრავდენ, ავსტრია კი ასეთ საქმეებს შინაურულათ აკეთებს.



წერილი ქუთაისიდან.

მც თებერვალს ქუთაისის სამეურნეო საზოგადოების განყოფილებას სხდომა ჰქონდა. ამ სხდომამ ნათლათ დავანახა, თუ რამდენათ ვერ აღწევს მიზანს, კერძო კაცი იყვეს გინდ მთელი საზოგადოება, როცა ის არა თავის საქმეს ემსახურება, როცა მეწაღე მზარეულობას ჩემულობს და მზარეული-მეწაღეობას, როცა მეურნეობას მეურნე კი არა ჩინოვნიკები პატრონობენ. მოგვხსენებათ, ამ საზოგადოებას ქუთაისში აქვს თავისი სამეურნეო სკოლა. ეს სკოლა იმითაა შესანიშნავი, რომ აქ ასწავლიან ყველაფერს და არაფერს.



რა გინდათ, რომ აქ არ ასწავლიდნენ: მეზღვრობა, მე-
 ვენახეობა, ბოსტნის მოყვანა, ღურგლობა, მეფუტ-
 კრობა, ცხოველის მოშენება და სხვა და სხვა. რომ
 ეს საგნები, სახელითაა და არა საქმით, ეს ნათლათ
 გარდაშეკარავა მეურნეობის სამინისტროს მიერ გამო-
 გზავნილმა რევიზორმა, ბ. მეშჩერსკიმ ბ. მეშჩერსკიმ
 სკოლა დაათვალიერა 1898 წელს და თავის დაკვირ-
 ვების ნაყოფი წარუდგინა სამინისტროს. ამ რევიზიამ
 იმდენათ უნუგეშოთ დაანახვა სამინისტროს სკოლის
 საქმე, რომ იმან მისცა საზოგადოებას ორი წლის
 ვადა: ან ამ ორ წელიწადში წეს-რიგი შემოიტანე
 სკოლაში, ნაყოფი რაიმე გამოაღებე მას, ან არა და
 თავი დაანებო. რევიზორი ამბობს: „მასწავლებელ-
 ნიც და მოწაფეებიც დროს ფუტათ (шрадно) ატარე-
 ბენ. 1897 წელს შეგირდები დათხოვნილი იყვენ 60
 დღით. მთელი წლის განმავლობაში კლასში სასწავ-
 ლებლათ მარტო 92 დღეს შეკრებილან ბავშვები და
 ამავე დროს გაკვეთილების რიცხვიც ცოტა ყოფილა,
 სულ 250 მთელი წლის განმავლობაში. მოწაფეებს
 უმუშაენიათ წლის განმავლობაში თითოს 25 დღეს.
 ერთ დროს გაუკეთებიათ ხელის საშრობი მოწყო-
 ბილობა, მარა დღეს ისიც უპატრონოთაა მიგდებუ-
 ლი, დამტვრეულ-დამხსვრეული. სკოლას ჰყავს მხო-
 ლათ ერთი ცხენი და სამი ხარი, რომელიც მითა-
 ესებულა ერთ ძველ დანგრეულ ჯარგვალში, საო-
 ჯახო იარაღებთან ერთათ. არ არის არც ერთი ძრო-
 ხა, ღორები კი ბევრია. შეგირდების შენახვა მეტათ
 ძვირათ ჯდება, 120 მანეთი წელიწადში და ამ დროს
 ტანისამოსზე 60 მანეთზე მეტი იხარჯება. მასწავლე-
 ბლებს არ აქვთ შესაფერი მომზადება“. ასეთია რევი-
 ზორის სიტყვით სკოლის სურათი. როგორც ხედავთ,
 რალაც საქმე კარგათ ვერ ტრიალებს. ერთი მხრით
 დიდი გადასახადი, რომლის გამო ბევრი იძულებუ-
 ლია სწავლაზე ხელი აიღოს და მეორე მხრით
 ცოტა ცოდნა. სკოლა პრაქტიკულია და პრაქტიკას
 თითქმის ადგილი არ აქვს — 25 დღე წელიწადში რა
 სახსენებელია. ზნეობრივი მხრითაც იხატება არა სა-
 სიამოვნო სურათი. დღეს დროებით სკოლას მართავს
 ერთი მეზღვე, რომელიც ქართულათ არის „მკურ-
 ნალი“, ხოლო რუსულათ „კურნაროზ“ (იხილე
 „Оборникъ свѣдѣній по сельскохоз. образованию“). ბ.
 „კურნაროზს“ ერთი კურნაროზიც ჩაუდენია. იმას უთ-
 ხოვია, ნება მომეცით გავმართო საუბარი გლეხებისა-
 თვის, მაგრამ თანჯამანი დამინიშნეთო. ამაზე სამინის-
 ტროს ქალაქი უპასუხებს: ჯერ თქვენი პირდაპირი
 მოვალეობა ვერ აგისრულებიათ, ვისაც უნდა ასწავ-
 ლოთ, იმათიენ ვერ გისწავლებიათ და ხალხს
 რალა უნდა ასწავლოთ, ისიც თანჯამანის შემწეობი-
 თო. საინტერესოა ვიცოდეთ, რათ უნდოდა ბ.

„კურნაროზს“ (იგივე მკურნალი) თარჯიმანი?
 ბათ, ქართული წი იცის. ზემო დასაწვლებული
 „Оборникъ“-ში ჩვენ სხვა ცნობებიც ამოვიკითხეთ,
 რომელიც გვიჩვენებს თუ ზოგი ვაჭბატონი როგორ
 ცდილობს სხვას ტყუილათ თვალი აუხვიოს. იქვეით-
 ხულობთ: „შეგირდები სწავლობენ მკედლობას სა-
 განგებო სახელოსნოებში“. აბა, მიზრძანდით სამეურ-
 ნეო სკოლაში რ იკითხეთ სადაა ეს სამკედლოები და
 რას ასწავლიან იქ? კიდევ ვკითხულობთ: „შევიკრიბეთ
 54 ფუთი შერია“, მაშინ როდესაც ერთი ფუთიც არ
 მოსულა. „კარტოფილი 500 ჩეტვერტი (четверть)
 (ორი ფუთი თუ მოსულა), 5000 ძირი კომბოსტო“;
 ესეც გამოგონილია. აი რაში იჩენს ბეჯითობას ბ.
 „კურნაროზი“. ის წარადგინა აქაურმა განყოფილე-
 ბამ მმართველის ადგილზე დასამტკიცებლათ, მაგრამ,
 როგორც ახლა გამოჩნდა, სამინისტრომ არ დაამტკი-
 ცა და წინადადება მისცა განყოფილებას, დააჩქარე
 ახალი კანდიდატის ამორჩევაო.

დ.



ს, ჩსთვას იყო იგი დამე ასე მწუსარე,
 რატომ მეგონა რომ შორით შორს გატემულ
 მთებსა

უძრავათ მეკრდი, გასტკეპრადენ ციაცს მდუმარე
 და დრუბედიკი ეწურად და იმით კაღთებს.
 სად იყო, სადა, მეგობარო, იმ წუთას შენა,
 რას ერთ მწკეკვალსა ნისლი ნელ-ნელ წაეტატინა,
 მეტე განშორდა, გადუნა შუბლზე ფრიალას
 და იმას იქით დიდ ნაზნაღში მუის ჩაქმინა!
 გადაჭყვა გულის, მას ეგონა რომ იმ უფსკრულში
 იდგა რამ გუბო, მას მოესსა ნისლი სუფრათ,
 და შიგ ესკენა გატანჯული ჩუენი ცსოკრება,
 ესკენა იგი ტანჯულ სახით და ცოცხალ-მკვდარათ.
 ვიდრას გედეშმა რწმინდწეობით თავს გადმარეს,
 გაკვასის მწკეკვალს შეასკიეს მეკრდით ბუბუელი,
 და მომაგონდა გმიწთა სასე ცსოკრების ზვირთში,
 მათი ნაკვეთი დასუკილი უმანგო გული!
 ეს მეგობარო სამი რცნებამ წარმომიდეგინა,
 მაგრამ წარსულმა ელვასავით წინ გამიბინა,
 და აწმეოსაცა სული ჩუენი ვერ შეუკრება,
 ცა მიწას შორის ვერ კმობათ გულის თქმით ბინა!

ი. ევლოშვილი.

პ ი რ ი მ ე ჯ

რომანი

ნაწილი I.

ბატონ ჟმოგის დრო.

IX.

(გაგრძელება) *

გაფხული დგებოდა. მზე მეტათ აცხუნებდა. ჰაერში რალაც საშინელი სიციხის ხეითქი გამდგარიყო. შუაგულ ტყეში ამწვანებული ბაკე დაფენებოდა მუხის დიდრონი ხეებით დაჩრდილული. სიო არ იძრიადა; სქელი ტყისაგან თითქოს სიციხე კიდევ უფრო გარგვალბულიყო. ბაკის შუაგულში იდგა ჩამოჭვარტლული ძელური, წინ ჰაწია დერეფნით. დერეფანში კედელზე გძელი სკამ-ლოგინი იყო გაკეთებული. ზედ ერთი ხნიერი დედაკაცი იჯდა, შავი ძაძით მოსილი და გაჩქარებით ქსოვდა ლაზლის წინდას. როცა თითო წყება თვლებს ამოიღებდა და წინდის ჩხირს უცვილიდა, ერთს ისეთ „ვაი“-ს ამოიკენესებდა, გვეგონებოდათ, თან გულის ნაფლეთიც ამოაყოლაო. მთელი ბაკე წნული ღობით იყო შემოვლებული და ერთგან ცალფა გძელ ფარალალათ ფიცრებ გაკრული ჭიშკარი, მოქენქლილი წნელის ყურებზე ეკიდა და რომ გააღებდი, მისი ჭრიალი ნახევარ ვერსზე ისმოდა. მართლაც ამ დროს ჭიშკრის ჭრიალი შემოესმა ძაძით მოსილ დედაკაცს. იმან უცბათ მიაგდო სკამ-ლოგინზე საქსოვი და საჩქაროთ გაიხედა დერეფნიდან ჭიშკრისკენ. მას გულმა რალაც ახირებულათ დაუწყო თამაში, იმან დაინახა, რომ ერთი კაცი შამოვიდა ბაკეში და თან ცხენიც შამოიყვანა. ცხენზე ქალაქური ხეირჯინი ეკიდა, კარგათ გატენილი. ხეირჯინს ზევით უნაგირს უკან რველათ დახეეული შავი ნაბადი ეკრა. სტუმარმა ცხენი ღობეზე მიაბა და თვითონ გამოეშურა ძელურისაკენ.

— ვინცა უცხოა, ნეტა ვინ უნდა იყოს? ბატონ-ს მოურავი შიუკელა არ არის, ეს ერთობ ახალგაზდაა მასთან შედარებით, მორთულიც სხვა ნაირათ არის... ძაძით შემოსილ ქალს ასეთი ტანსაცმლით ჯერ არავინ ენახა. შავი ბუზმენტებით გაწყობილი ჩოხა, თავზე თათრული ნაჩიჯი კრაველიანი მაღალი წვეტიანი ქუდა ეხურა წელზე მსხეილი, ვეცხლის კოპლებიანი ქამარი ერთყა, ვანიერი შალვარი, მაღალ ყელიანი და მაღალი წვეტქუსლიანი წაღები—ეს სულ დედაკაცისთვის მოჩვენება იყო. თუ არის ვინმე თული, გავარდნილი თათარი—დღას თ რაეა შეკოვიდა ბაკეში ასე თავისუფლათ, თუ

არა და ვინცა შორეული კაცია, მარა რალა მე მომაგნო, ჩემისთანა საწყალ ქერივ ოხერსო. გაიგლო გულში შავი ძაძით მოსილმა დედაკაცმა და ცოტა არ იყოს, გულმა თან და-თან მოუხშირა ცემა და მუხლებმა კანკალი დაუწყო. რომ არ წაქცეულიყო, ის უნებურათ მიესვენა დერეფნის სვეტზე.

სტუმარი თან-და-თან უახლოვდება სახლს. სტუმარის ჩასმული ტანი, აჩქარებული სიარული, კოკობ უღვაშებიანი სახე თითქოს სადღაც ენახა მის ყმაწვილობის დროს... „უიმე, გენაცვალე!—გაიფიქრა გულში ძაძით მოსილმა დედაკაცმა, სულ ჩემი უბედური ბედშავი ქმრის ახალგაზდობა მომაგონა ამ კაცმა, უცხო ტანისამოსი რომ არ ეცვას. მოჩვენება ხომ არ არის, საიქიოდან ხომ არ გამომცხადებია ის უბედური, ვაი თუ რამე საწირავი დავაკლე და ამის გულისთვის მომიჩვენა... მოხუცებულ დედაკაცს უეცრათ ტუჩები ჩაუშავდა, სახე გაუფითრა, ქალაქურ კინტოურათ მორთული ახალგაზდა ჭაბუკი წინ რომ აეტუზა. ახალ მოსული ერთ წამს შედგა დერეფანთან მოხუცებული დედაკაცის პირდაპირ და ხმას არ იღებდა, თითქოს ორივეს ერთმანეთის ელდა ეცა და ორივეს ენა ჩაუფარდაო. მხოლოთ თვალებით ზომავდენ ერთმანეთს. დედაკაცს უნდოდა დაკვირება, მაგრამ ღონე აღარ მოჰდევდა, სტუმარი კი ყოყმანობდა, რა ვუთხრა, როგორ მივეგებოვო... ის თითქმის რალაც გამოურკვეველმა ერთ სისხლ ხორცის მგრძნობელობამ აიტაცა, ენაზე ადგა სიტყვა, „დედა“ და ვერ გამოეთქვა. ბოლოს რათიც იქმნა, დააღწია თავი ამ განურკვეველ მდგომარეობას და შეეკითხა: „დედა, ვერ მიცანი? მე შენი პეტრიელა ვარ“. — „უი“,—ამოიკენესა საოცრათ ხანში შესულმა დედაკაცმა და იქვე ჩაიკეცა.

პეტრიელამ სტაცა ხელი თავის დედას და დაასვენა სკამ-ლოგინზე, მერე შეეარადა სახლში, დაელო დოქს ხელი და დაუწყო წყლით სხურება. როდამ კვესაურმა ამოიხენემა და თვალები გამოაჭყიტა.

— დედა, რა დაგემართა?—ჰკითხა პეტრიელამ, — ჩემი მოსვლა თუ აგრე გეწყინებოდა, არ მოვიდოდი!

როდამ კვესაურმა ამ სიტყვებზე რალაც ახალი დედობრივი ძლი იგრძნო, წამოეარდა ლოგინიდან, მოეჭდო კისერზე თავის შეილს, დაუწყო კოცნა და თან ცრემლებით ულტობდა პირის სახეს. როცა შეილს კოცნით და აღერსით იჯერა გული, მერე ფეხმოკეცილი დაჯდა ლოგინზე, ჩამოიშალა თეთრი თმა და ამოუშვა ხმა მაღლა ტირილი; „შვილო, მამაშენი დათია აღარ მყავს!“ — დაიწყო გულმოსაკლავი სიტყვებით მოთქმა; იმან ყოველივე გაიხსენა, რაც კი პეტრიელას პატარაობის ამბავი ახსოვდა მამა მისთან

*) ის. „გვალა“ № 8



ერთად და ბოლოს დაატირა: შეილო, სიზმარში მანც რატომ არ მოგჩვენა მამაშენი, სიკვდილის ჟამს როგორ წვალობდა, რათ გაუშვა საიქიოს შენი გამოუთხოვარიო?

პეტრიელას განსაკუთრებით ამ სიტყვებზე აუჩუყდა გული და მართლ ხმა მალლა ტირილ-ზღუტუნით. როდამ კვესაურს უცებ მოაგონდა, რომ მისი შეილი შორს ნამგზავრია, იქნება მშვიერც არის, დალალული, მოსვენება უნდაო... შეწყვეტა ტირილი, თვალები ამოიწმინდა და თქვა:— შეილო, ახლა შენ გეშვიება, დალალულიც ხარ. მე უბედური მწუხარებამ სულ გამომატყინა, აღარაფერზე გული აღარ მაქვს შეილო პეტრიელა, შენ ახლა ამ სკამლოგინზე მოისვენე და მე ერთ წამს ცეცხლს დავანთებ და საჭმელს მოგიმზადებ.

კვესაური თითქოს თექვსმეტი წლის გასათხოვარ ქალათ გადაქმნილიყოს, ისე დატრიალდა.

— არა დედა, მე ჯერ არ მეძინება, წავალ, ცხენს მოვუვლი.— უთხრა პეტრიელამ და წამოდგა სკამლოგინიდან.

— აგრე, შეილო, როგორც გენებოს, შენი სახლია. მე ცეცხლს დავანთებ. უპასუხა როდამმა.

მართლაც, სანამდის პეტრიელა ცხენს მოუვლიდა, იარაღს მოხდიდა და ეზოში გაუშვებდა ბაღანზე საძოვრათ, როდამმა ცეცხლა დაანთო შუა კერაზე და კეცები დამართა მჭადის გამოასცობათ; საქვებზე ჩამოკიდებულ კარდალში წყალი სისინებდა ასადულებლათ. პეტრიელამ ბარგი შემოაღა და დერეფანში, ხვირჯანი კი ცალკე მიაბარა დედას. როდამმა ძარიდან გამოიყვანა დამწყვდელი ქათამი და მისცა შეილს დასაკლავათ. ამ დროს ერთი მეორეზე მეზობლები შემოდოდნენ ქიშკარში; ულოცადენ როდამს შეილის მოსვლას, ჰკოცნიდენ პეტრიელას და გულლიათ უხაროდათ საწყალი ქერვის ბედნიერება.

ბოლოს როდამის ქალმაც ცხვრები მორეკა ეზოში და სირბილით გამოეჩანა დერეფნისკენ. იმასაც მინდორში საძოვარზე გაეგო პეტრიელას მოსვლა და თავდავიწყებული მირბოდა, რომ დედი ხნის უნახვად მას გულში ჩაკვროდა, მაგრამ დაინახა თუ არა თავისი ძმა, იუცხოვა და ევლარ მიეკარა, ის დადგა მოშორებით, თავი ძირს დახარა და ისე თრთოდა, როგორც ვერხვის ფოთოლი, არ ვიცი, ძმის მდიდარ ტანსაცმელმა დააშინა, თუ არ ეგონა, რომ ასეთი წვერ-ულვაშიანი კაცი მისი ძმა იქნებოდა. „რავა უცხოთ არის ჩაცმული, იმერელი მასე არ ჩეიცვამდა!“ ფიქრობდა ალბათ გულში ცამეტი წლის გოგო, რომელიც ტალახიანი ტიტველი ფეხებით, კაბა შემოფლეთილი ძმასთან მოშორებით თვალზე დახრილი იდგა.— თუ ჩემი ძმაა, თითონ მოვა და გულში ჩამიკრავსო.

ამ დროს როდამმა სახლიდან გამოძახა:— გოგუცა, მიდი, შეილო, შენ ძმა პეტრიელას მოეხვიე, ევლარ იცანი, განა?

პეტრიელამ, გაიგონა თუ არა ეს სიტყვები, უცებ მივირდა თავის დას და დაუწყო კოცნა. — შენ გოგუცა ხარ ხუთი წლის რომ დაგტოვე? რამხელა გაზღობხარ, გასათხოვარი შექმნილხარ! აბა, ერთი კარგი ქვარი უნდა გიშოვნო აწი. — აღერსით ეუბნებოდა პეტრიელა და თან მიჰყავდა სკამლოგინზე დასაჯდომათ. გოგუცა ხელებს იფარებდა სახეზე, რომ მღელვარება შეემაგრებინა და სიხარულის კრემლება ძმისთვის არ ეჩვენებინა.

— გოგუცა, დედა, ცხვრები ხომ არ დაგკარგვია? — შეეკითხა როდამი.

— არა, მოვიყვანე და საცხვრებოში დავანწყვრიე.— უპასუხა ქალმა.

— ვაი თუ წყურიათ, შეილო?

— არა დედა, შინ რომ გამოვრეკე, ჩვენ ლელში გამოვიდენ და იქ დალიეს წყალი.

— აბა კარგი, შეილო, ადექი ახლა, გენაცვალოს დედაშენი, პაწია ტაბაკა სუფრა მოიტანე, შენ ძმას ხელი დააბანინე და საჭმელი მიართვი. ყველაფერი მზათ არის, ხელდოქით ღვინოს ამოვიღებ.— გოგუცამ დედას თქმა არ დააცალა, ისე შევლივით წამოხტა ზეზე.

მკითხველი როგორ წარმოიდგენს, დიდი ხნის დაშორებული დედაშვილის პირველი პურის ჭამა თუ რა ბედნიერი იყო. მას აქეთ, რაც საწყალმა როდამმა ამდენი უბედურება და ცხოვრების უკუღმართობა გამოცადა— მისი სიცოცხლე სულ ბნელ ზეწარში იყო გახვეული, მხოლოდ დღეს გამოუბრწყინდა მზე. მას ახლა ყოველი წარსული მწუხარება და ათასნაირი გაჭირება ჩირათაც არ მიანდა, რაკი ასეთ ვაჟკაც შეილს თავის გვერდით უყურებდა. იმას ამ ერთი საათის განმავლობაში მთელი ათი წლის სიცოცხლის დაკარგული ძალ-ღონე დაუბრუნდა. მისი ღრუბლით მოცული სახე პირველათ დღეს გახალსდა, მისი დამჭკნარი და შეყვითლებული ლოყები უწინდელათ აღისურათ გადაიქცა, მას სახეზე ბედნიერების შუქმა დაჰკრა და სიცოცხლე გაუჩნდლა.

გოგუცამ ძმას ხელი დააბანინა, მერე მოუტანა გძელი ხრს ოთხფეხიანი სუფრა და წინ დაუდგა; ამ დროს როდამმა ცხელ-ცხელი კეცის მჭადები დააღაგა სუფრაზე, ზედ ორი კბილა ცხვრის ყველი დადგა, ხის ჯამ თ ცხელ წყალში ჩახლილი ხუთი კვერცი დაუდგა და მერე შეწეწევი ქათამი მოუტანა.

— აბა, შეილო, მჭადი გატეხე, გწყალობდეს წინდივიორგის მადლი! — უთხრა როდამმა, პირჯვარი გამოისახა და თვალები ზეცას მიაპყრო, ეტყობოდა, ღმერთს ევედრებოდა, გულის წმინდით მადლობას

სწირავდა შვილის კეთილათ დაბრუნებისთვის. თითონ პეტრიელაც პირჯვარს იწერდა, აგრეთვე მოიქცა გოგუცაც. შემდეგ დასხდენ სუფრაზე დედა და მისი ქალვანი სადილის საქმელათ.

პეტრიელა კარგათ მოშვივებული იყო და ორი ცხელი მჭადი მიახვია, შემწვარი ქათამი სულ იმან შექამ, გოგუცას ფრთის მეტი არა რგებიარა, დედა მართო ერთი მხარი აიღო. როდამმა პირველათ ჩამოილოცა, მოიხსენა მიცვალებული ქმარი და სტაქანს თავი წაუქცია მკედლის კერძი ღვინო მიწაზე დაღვარა, თითქოს ოჯახის პატრონს საიქიოს უგზავნიდა. ასე მოიქცა პეტრიელაც და მისი და გოგუცაც. სადილს შემდეგ პეტრიელამ დერეფნიდან ბაკენი გაიხედა, ცხენს თვალი გადააფლო. ის ხარბათ ტყვერდა სიციხით გაყვითლებულ ბალახს, ეტყობოდა, ცხენსაც ძალიან მოშვივებოდა.

— გოგუცა, იქნება ცხენს წყალი დააღვინო, მე დაღალული ვარ და ცოტას წაფიძინებ.

— შვილო, ცხენს მე თითონ წაფიძევან წყალზე, მაგის ჯავრი ნუ გაქვს, შენ აქ მოისვენე. — უჩვენა როდამმა ჭილობზე, რომელიც სკამ ლოგინზე იყო გაშლილი, იმან გამოუტანა მუთაქა და წითელი შილისყურბალიში. ნახევარ საათის იქით გაფლანგებულ პეტრიელა სკამ-ლოგინზე ეგდო და ღრმით ეძინა. — როდამს ცხენისთვის წყალი დევლეინებინა და ისევ გაეგდო ბალახზე; შემდეგ შემოსულიყო სახლში და ლოგინზე გაეხსნა ხვირჯინის თვლები და ის და გოგუცა აწყობდნენ იქიდან ნაირ ნაირ ქალაქიდან მოტანილ საქონელს. იმათ ხვირჯინიდან გადმოალაგეს ალისფერი ჩიტები საკაბებათ, შავი თევზალი, კასინკები და შავი შალის საკაბე. როდამი და მისი ქალი აღტაცებაში მოდიოდნენ, არჩევდნენ მათ წიღს; რაც რომ მხიარული ფერის იყო, იმას გოგუცა იწყობდა თავისკენ, რაც რომ თაღნი იყო, ის კი როდამს თავისათ მიაჩნდა. მათ სიხარულს სახლგარე არ ჰქონდა, როცა ხვირჯინიდან ოქროს სტაქანი, ვერცხლის კოვზები და ვერცხლის საშაქრე გამოჩნდა.

— დედა, დედა, რა სიმდიდრეა! — ირტყამდა მუხლებზე ხელებს როდამი. — ეს სულ ჩემი გოგოს მხარე იქნება. ვინ იქნება აწი ჩემი გოგოს ღირსი ჩემ მეზობლებში!

გოგუცა სულ ტასს უკრავდა გაოცებული და იძახოდა: — დედაი, დედაი, ოქრომ და ვერცხლმა მომჭრა თვალები! დედაი, რა ამბავია აგი, რა ვნახე, რას მოვესწარი!

დიდხანს იყვენ დედაშვილი ასეთ აღტაცებაში. ბოლოს როდამმა თავის ხის სკივრი სულ ამოკალა დაფლეთილ დამჭვარტლულ ქინკეულობისაგან, ჩაწყო შივ პეტრიელას მოტანილი საქონელი და დადვა პაწია ყვითელი ბოქლოში.

მეორე ხვირჯინის თვალიდან ამოალაგა პეტრიელას ტანისამოსი და დერეფანზე გაამკურა.

პეტრიელას არ გაღვიძებია, სანამდის არ დაბინდა, შემდეგ წამოდგა და დაძახა: — უჰ, ძალიან მეძინა, რაც ამ ერთ კვირაში მგზავრობაში დამაკლდა, სულ შევესრულე. მეც შეხედა ცალიერ ხვირჯინის თვლებს და მის ტანისამოსს.

— ოჰ, დედაჯან, საქონელი სულ გადმოალაგე? ვერცხლისა და ოქროს ნივთები კარგათ შეინახე. აბა, რაც მოგიტანეთ შენ და გოგუცას, სულ შეიკვრეთ. ჩვენ საყდარზე თქვენისთანა მორთული არავინ უნდა გამოვიდეს. ყველა მეზობლის ქალებს უნდა ჩჩებოდესთ თქვენზე თვალი, ყველა თქვენ უნდა შემოგნატროდესთ.

— უმისოთაც შემოგენატრებენ, ჩემო შვილო. შენისთანა მოსწრებული და კაი მომკები შვილი ვისაც გამოეზდება, მაზე უფრო სანატრელი რა იქნება?

მეორე დღეს პეტრიელამ ჩაიცვა შინაურულათ თავისი ძველი ყვითელი შალის ჩოხა, ძველი ახალუხი, შემოირტყა წელზე უბრალო საშინაო ქამარხანჯალი, დაიხურა სიძველისგან ფერგადაკრული ბოხი და წაფიდა ბატონის სანახავათ.


ბაკურიძეს ძალიან იამა პეტრიელას ნახვა, გამოკითხა თვლისის ამბავი, იმ ოჯახის, საცა პეტრიელა შინაურულათ გაზდილი იყო. ამან სხვათა შორის ძალიან უქო სოცდაგრის ოჯახობა, ცოლი მეტათ გამრჯელია ოჯახში, ასე გაშინჯე, ხან-დან-დან პურს თითონ მოზეღოდა და მე გამომაცხოზიებდა თავის თონეშიო.

განა შენ პურის და თორნეულის ცხოზაც იცი?

— ასეთ შოთებს ამოვკრავ, რომ თქვენგან მოწონებულს, თუ დამჭირდა. ჩემი აღის ცოლი როცა მთხოვდა, ყოველთვის გამოვეუცხოზიდი ხოლმე.

— ყოჩაღ, რომ კარგი ხაზაზობაც გისწავლია. — აგრე უნდა, შვილო, ყველაფერი უნდა იცოდე გარეთ გაზდილმა კაცმა, ვინ იცის, როგორ დაგჭირდება. — დატანა ბაკურიძემ და ყალიონი აბუყბუყა. ბატონმა დაიწყო ოთახში სიარული, ის ნელ-ნელა თვალებს პეტრიელასკენ აპარებდა და ეტყობოდა, რომ მისი თავაწეული საქციელი, მიხერა-მოხერა, თავისუფალი ლაპარაკი, რომელშიაც ერთხელაც არ გამოურეგია „კი, შენი ჭირიმე“, „ჩემო ხელმწიფე“, „თქვენი ჭარი შემეყაროს“ და სხვა ამისთანა ბატონის გულის მოსალობი სიტყვები — დიდათ არაფრათ მოწონდა.

— ჰო, გამუტრუკებულა ქალაქში, ზდილობა დავიწყებია, მე უნდა ვასწავლო მაგას ჭკუა, თერა სხვა შინაყმებსაც გამიბრიყვებს. — გაივლო გულში ბაკურიძემ და უბძანა: — შენ ამდამ აქ დარჩი, შინ



არ წახვიდე. ახლა წადი, მოურავს დაუძახი. პეტრიელამ მოკლეთ თავი დაუკრა და გამოვიდა ბატონის ოთახიდან.


გათავა თუ არა ორი დღის სამსახური კვირაში, პეტრიელა შინ დაბრუნდა და აქ შეუდგა თავის ოჯახის ფეხზე წამოყენებას. იმან მენიშნა, რომ როდამს ძროხა არ ჰყავდა და უძროხოთ გლეხის ოჯახი რა ოჯახი უნდა ყოფილიყო. შემთხვევით იქვე სოფელში იშოვნა ათ მანეთათ შევნიერი მეწველი ძროხა თავის ხბოიანა. თავი რომ ოჯახში მარტოხელათ დინახა და შეიგნო თავისი სახლის გაჭირვება—პეტრიელა საკვირველათ გამოიცვალა. არაფერ მუშაობას აღარ ერიდებოდა და სოცდაგართან გაუზნევებული ლაქის მაგიერათ შევნიერი სოფლის მუშის სახელი დაიგდო. რაც დღე გადიოდა, ისე უფრო ხელს იწყობდა ეს დაცემული გოგონის ოჯახი როდამის და პეტრიელას მეცადინეობით. ახლა გოგუცა ოჯახის მოვლაში ეფარებოდა ღედას, მწყემსათ კი მეზობლის თორმეტი წლის ბიჭი აიყვანეს წელიწადში სამ მანეთათ და ორ ხელ ტანსაცმელათ.

ბაკურიძე და მისი მეუღლე პეტრიელას მოურავობას პირდებოდნენ, მაგრამ ამ პირველში ბაკურიძეს უნდოდა, ცოტა არ იყოს, თავისა გარეთ გასული და თავალბული ყმა დემორჩილებინა, ორჯელ სამჯელ ცხვირში ამოეკრა და ბატონის განუსაზღვრელ უფლებების წინაშე ქელა მოეხრევიებინა. ამისთვის იმან გადაწყვიტა პეტრიელასთვის ისეთი რამ სამსახური დაეისრებინა, რაც პეტრიელას არ ემართა, რომ მისი ნება ამ გვარ დაეისრებაში გაეტეხა. ის ეძებდა შემთხვევას და მაღეც აუსრულდა სურვილი. როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ბატონს ხაბაზი გაუხდა ავით და ბაკურიძემ განიზრახა პეტრიელას ხაბაზობის უღელში გაბმა. მაგრამ ბატონის ხმალი ფოლადს შეხებდა. პეტრიელა ისეთი გლეხი არ იყო, რომ თავის უფლების შეუფერებელი ძალა აეტანა. იმან გაარღვია ბატონის ძალმომრეობის კედელი და გაგარდა. თუმცა იძახოდნენ, ისევე ქალაქს გადაკარგავო, მაგრამ ის თავის ოჯახს არ მოცილებია. ის გადიშლა რამდენიმე დღით ქ. ქვიანას სადაც ცხენი გაჰყიდა და თვითონ კი ისევ შინ დაბრუნდა. მეზობლებმა პირი შეჰკრეს, რომ ბატონისთვის არ გაეცხადებინათ მისი შინ ყ უნა. თე თ ბატონის ოჯახში მყოფ შინაყმებს მოურავიანა პეტრიელას მხარე ეჭირათ და არას ღონისძიებით არ ატყობინებდნენ ბატონს, თუ პეტრიელა კიდევ თავის ოჯახში დატრიალებდა. როდამ და მისი ქალი გოგუცა ძალიან უარზე იდგნენ, როცა ჰკითხავდნენ, პეტრიელა სად არისო. — ბატონთან რომ გახლდათ, მას აქეთ არ დაბრუნებულათო. — წამოიკრინებდნენ მოწყენილი და მწუხარე სახით.

როდამ კვესაურს ისევე დაუგროვდა შუბლზე მწუხარების ღრუბელი, მოჰყვა თავის ჩვეულებრივ „ვაი“-ს ამოკენესას. გული მას კარგს არას ეუბნებოდა; კიდევ რასმე აუტეხნენ ჩემ შეილს და, როგორც ჩემი უბედური დათია უდროვოთ მოინელეს, პეტრიელასაც იმ დღეს დააყენებნო. — იტყოდა ხან-და-ხან მწუხარებით როდამი და ცრემლით დაედარებოდა ორივე ღაწვები.

ბ. წერეთელი.

(შემდეგი იქნება)



კიდევ ბ. ფალავას გამო. 1)

კარგა ხანია მას შემდეგ, რაც ოლქის სასამართლომ გაარჩია გელეიშვილის და ყიფიანის საქმე, რომელსაც ჩვენც დავესწარიით. მარა მაინც დღემდისაც გული ვერ დაგვიმშვიდებია, დღემდისაც ვერ გადაგვიწყვეტია, რა ხალხია ეს ყიფიანს და მის აღდგოკატს ხელს რომ აფარებს? რით ხელმძღვანელობენ მათი დამცველნი? რომ ჰკითხვოთ, ეს კერძო საქმე იყო და რაა რომ შეგვაწუხა „კვალმა“, ამდენი წერითო. მარა იმავე დროს ვინც ამას ამბობს, თითონ ათჯერ მეტ სიტყვებს ხარჯავს ამ საქმეზე, ვინემ „კვალში“ ეწერა. მაშ რაღაცა ინტერესი ჰქონებია ამ საქმეს, მაშ მართლაც ვილაკებისთვის „კვალს“ კულზე ფეხი დაუდგამს. და ეს უსათუოთ ასე უნდა იყოს. მე ამაზე არაფერს ვიტყვი. ყველზე უფრო ერთი კითხვაა საინტერესო: შეურაცხყო ბ. ფალავამ ვინმე თუ არა და რა ნაირათ? ფალავამ ილაპარაკა ორ სტუდენტზე: ბბ. მეფისაშვილსა და ჯაყელზე, იმან მოინდომა ამ ორი პირის ჩვენების გაბათილება. მერე რა თვალხედვის ისარი იხმარა ამისთვის?

ყველა სტუდენტის პიროვნება ერთ და იმავე დროს შეიცავს ორნაირ თვისებას: ერთია ინდივიდუალური, რომელიც მას ეკუთვნის, როგორც ერთ პირს, ამა და ამ დედამისი შეილს. მეორე — გგუფური, რომელიც მას ეკუთვნის, როგორც ერთ რგოლს გგუფისას, სტუდენტობისას. ფალავას შეეძლო ელაპარაკა მეფისაშვილსა და ჯაყელზე, როგორც კერძო პირებზე, აელო მათი კერძო დამოკიდებულებანი, მათი საკუთარი ინტერესები. მაშინ ჩვენ ხმა აღარ გვექნებოდა, რადგან სათითაოთ ბევრი აღვიანი ვინ იცის რა ხასიათისაა და რა ზნეობრივი განდი აქვს.

1) ჩვენ ამ საგანზე ბასსი ჯაი სხნია გაჯთავკეთ და თუ ამ წიკიდეს ადგილს ვუთმობთ — ეს იმიტომ რომ „აჰკიის“ ფურცლებზე ეს კითხვა კიდევამ ხელ-ასლად აღწა და ადგოკატური კომიანჭულით ხათული საგანი ერთიანათ დასხნელა.

რედ.

ესეც რომ არ იყოს, კერძო შეურაცხყოფას მეფისა-
 შეილი და ჯაყელიც პასუხს ვასცემდენ. მარა ბ. ფა-
 ლავა ასე როდი მოიქცა. იმან ჯერ დაადგინა საზო-
 გადო მოსაზრება და შემდეგ ამ საზოგადო მოსაზრე-
 ბას დაუმორჩილა ორი დასახელებული სტუდენტი.
 ფალავა ამბობს: შედგა ჯგუფი, რომელსაც ჰქონდა
 ინტერესი — რა ინტერესი? ამ ჯგუფს აქვს საზო-
 გადო ინტერესი, იმას უნდა საზოგადო საქმეში
 ნათელი და სინიღისიანობა შეიტანოს. მერე რას ეუ-
 ბნება მათ ფალავა? რაკი თქვენ საზოგადო ინტერე-
 სი გაქვთ, მართლის თქმა არ შეგიძლიათ, სა-
 ზოგადოებრივი ინტერესი გაიძულებთ ტყუილის
 თქმასო. იმის თქმა ხომ არ შეუძლია ბ. ფალა-
 ვას, რომ ტყუილი ამ ჯგუფის სპეციფიური, განსა-
 კუთრებული თვისება იყოს. არა, ის ამას არც კი
 ამბობს, ის ამბობს ამა და ამ ჯგუფს საზოგადო ინ-
 ტერესი აქვს, თქვენც, ბ.ბ. ჯაყელო და მეფისაშვი-
 ლო, ამ ჯგუფს ეკუთვნით, თქვენც საზოგადო ინ-
 ტერესი გაქვთ, მაშ მართლის თქმა არ შეგიძლიათ.
 რა გამოდის აქედან? ის, რომ ბ. ფალავას აზრით მართლ-
 მსაჯულება და კულტურა, ყველაფერი ის, რითაც
 ადამიანი ამყოფებს, ერთმანეთის წინააღმდეგი ყოფი-
 ლა. სადაც საზოგადო ინტერესია, იქ მართლმსაჯუ-
 ლება თურმე შეუძლებელია, რადგან საზოგა-
 დო ინტერესი კაცს ტყუილს ალაპარაკებს. აქ
 შეფარებულია ერთმანეთთან ორი შემეცნება: სა-
 ზოგადოებრივი ინტერესი და ტყუილი. ტყუილი ეს
 ერთი უმდაბლესი ხერხია სიმართლის და ჰემარტების
 დამალვისთვის, ეს განხრწნილებს, ზნეობრივი დაცემის,
 გადაშენების ხე-ხია. ნუ თუ იმას ვისაც საზოგადო-
 ებრივი გრძნობა აქვს, ვინც იბრძვის საზოგადოების
 ინტერესისთვის, ნუ თუ ასეთ ადამიანს უნდა იმავე
 საზოგადოების განხრწნა, მისი დაცემა, გადაშენება? თუ
 ეს ასეა, ბ. ფალავა და „ივერიის“ პუბლიცისტები
 მართალი არიან. მარა ვერ წარმოგიდგენია, რომ
 „ივერიის“ პუბლიცისტს სრულიად იყოს მოკლე-
 ბული საზოგადო გრძნობა, ვერ წარმოგიდგენია,
 რომ ისიც არ გაწითლდეს თუ ოდნავ დაუფიქრდება
 იმ საქმის ვითარებას, რომლის დაცემა მოუწადნია.
 მაშ აქ საქმე კერძო პირების სიმართლეზე კი არაა.
 წარმოგიდგინეთ ერთ წუთს, რომ სტაროვი წერე-
 თელი; რომელმაც მომრიგებელ მოსამართლესთან
 აღიარა რუსული წერა არ ვიცო, ხოლო ოლქის
 სასამართლოში ფალავას ხელით წარადგინა საკუთარი
 ხელით დაწერილი ბარათი, წარმოგიდგინეთ, რომ ეს
 ცვალებადი წერეთელი მართალს ამბობს, სტუდენ-
 ტებო — არა. მერე თქვენ გგონიათ, ამით ფალავას სი-
 ტყუევებს ოდნავ მაინც აკლდება ძალა? სრულიადაც
 არა. მისი შეურაცხყოფა კერძო პირს როდი ეხება,

მან შეურაცხყო საზოგადო გრძნობა, საზოგადოებ-
 რივი მისწრაფება და მასთან ერთად ყველა ის, ვი-
 საც ამ მისწრაფების ნაპერწკალი მოეპოება. იმან ექვი
 შეიტანა საზოგადოებრივი მოღვაწეობის გულ-წრფე-
 ლობაში და ამით შეადარა ის მატყუარა ეგორსტურ
 მისწრაფებას. აი რატომაა, რომ გაზეთმაც ყურადღება
 მიაქცია მის ქცევას და დაანახა საზოგადოებას, რომ
 ასეთი ხერხი არაა კარგი, რომ მრუდე გზა კერ-
 ძო პირს ეგების ერთხელ კიდევ გაამარჯვებინებს,
 მარა საზოგადოებაში ის იწვევს დემორალიზაციას,
 ერთმანეთის უნდობლობას, დაცემას. საზოგადოება
 ვალდებულია ძირშივე აღმოფხვრას ასეთი ხერხი და
 ამით ეცადოს აიცილიოს თავიდან მისი გრძნობის
 დამამცირებელი და დამაჩლოუნებელი გავლენა.

X ბ. სურგულაძე.

ქუთაისი.

„კვალის“ ფოსტა.

ქ. ყაზანში ბ. მ.—ვილს. თქვენი სტატია მივი-
 ლეთ. ჩვენის აზრით, ასეთი სერიოზული მსჯელობა
 ისეთ მასხარასთან, როგორც „ვარ“ — უადგილოა.
 ჩიტი ბღღენათ არ ღირდა და დევნა კი მეტა იყოფო—
 ამბობს ქართული ანდაზა.

უცხო სიტყვების ახსნა.

არგუმენტი — საბუთი. მომენტი — წამი, ახლა. დე-
 მორალიზაცია — განწმინდება, გათხსნილება. ეგორსტი —
 თავის კეჩი, თავმოყვარე. ინდივიდუალური — შიდა. ი-
 ნცინდენტი — შემოსევა. ფანტაზიორი — ოცნების კაცი.

შინაარსი: ემილ ლუბე. — უსაჭიროესი საქმე ან. წე-
 რეთლისა. — თავდაზნაურთა საქმეები ნ. უორდანიასი. — სხვა-
 და-სხვა ამბები. — „კვალის“ კორესპონდენტები. — საზღვარ-გა-
 რეთ. — წერილი ქუთაისიდან ლ.—ისა. — * * * ლექსი ი. ევლო-
 შვილისა. — პირიმზე, რომანი (შემდეგი) გ. წერეთლისა. —
 კიდევ ბ. ფალავას გამო ბ. სურგულაძისა. — კვალის ფოსტა. —
 უცხო სიტყვების ახსნა.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლის.